


# სალოგანბრდა ვეროული

საბჭოთა  
30  
ოქტომბერი  
№ 119 (11605)  
1990

1921 წლიდან

საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი



## შიგნითი კორუფციებიდან... სტუდენტობაზე...

შიგნითი კორუფციებიდან...  
სტუდენტობაზე...  
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატის შენობა რომ გამუდმებით ბლოკირებულია, ამა-საც შევეჩვიეთ...  
სულ ახლახანს მოსამზადებელი განყოფილების მსმენელები რომ უგამოცდოდ ჩარიცხეს პირველ კურსზე, დიდად აღარც ეს გაგვივირვებია, პირიქით, ზოგმა გავამართლეთ კიდევ-მერე რა მოხხდა, ისწავლიან, მოინდომებენ, სემესტრულ გამოცდებს სამაგალითოდ ჩააბარებენ და...  
თუმცა ის დროც კარგად გვახსოვს სულ ერთი ქულის დაკლებაც რომ სასწავლებლის გარე ტოვებდა აბიტურიენტს.  
დღეს კი... რა დრო დადგა... ისწავლამ ფასი დაკარგა, დიპლომა — ძალიან — ხშირად გსმენიათ ალბათ, ეს სიტყვები. საკვირველია, ამ ქალსურ ყოფაში ყველას და ყველაფერს ფასი რომ დაედო, რაღა მინც და მინც ისწავლამ დაკარგა იგი.  
თითქოს ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, ყოველგვარ უცხოურ (ევროპულ) სიახლეებს დიდი მონღო-მებით ვწერავთ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.  
შედეგად მინც ერთს ვიღებთ — ვისაც კი უმაღლეს სასწავლებელში საბუთი შეაქვს, ყველა სტუდენტი ხდება. უფრო მეტიც, ორი-

ანმა, რომელიც წლების მანძილზე „ჩაჭრას“ უჭადა ჩვენს აბიტურიენტებს, შარშან პირდაპირ ზებუნებრივი ძალა შეიძინა: მოსამზადებელი განყოფილების 2000-ზე მეტი მსმენელი (ამთგან ნახევარზე მეტი ორიანებით) პირველკურსელი გახდა. მეტსაც გეტყვით, ეს აბიტურიენტები თავიანთ თავს „ოროსნებს“ კი არა „უნიშნობებს“ უწოდებდნენ...  
ფაქტი კი ფაქტად რჩება, „უნიშნობები“ (მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა) დღეს სტუდენტები არიან...  
ტრადიცია კი თანდათან მკვიდრდება...  
სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატის შენობა კვლავ ბლოკირებულია.  
23 ოქტომბერი, „შიგნითი კორუფციებიდან...“ — ვითხოვლობთ შენობის წინ გამოფენილ ტრანსპარანტებზე... „ვითხოვლობთ სამართლიანობას“, „მოვითხოვთ ფასიან სწავლებას“, „დამეთანხმებით, ამ მოთხოვნებში არაფერია არარეალური და აღმაშფოთებელი, მით უმეტეს, რომ ფასიანი სწავლება წელს უკვე დამკვიდრდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაშ რატომ დასჭირდათ აქციის მონაწილეებს ცამეტი დღის შიმშილობა? საქმე ის გახლავთ, რომ ამ აბიტურიენტებმა (მათი რიცხვი 600 აღწევს) მესამე და მეოთხე გამოცდაში არადამაკმაყოფილებელი

შეფასება დაიმსახურეს — (უნივერსიტეტში კი ფასიანი სწავლების უფლება მხოლოდ დადებითი შინა აბიტურიენტებს მიეცათ)...  
საგაფიცო კომიტეტის თავმჯდომარემ ილია ბარამაშვილმა (პროფესორი ისტორიკოსია, აბიტურიენტ მამა „გულშემატკივრობს“) გვითხრა, რომ მათი აქციის მიზნია მათემატიკისა და ქიმიის გამოცდების არაობიექტურად ჩატარება, კერძოდ ის, რომ გამოცდებზე დაულუქავი და არაპროგრამული ამოცანებით შედგენილი ბილეთები შემოიტანეს. გარდა ამისა, გამოცდების მსვლელობის დროს ადგილი ჰქონდა აბიტურიენტებისთვის „შარგალკეზის“ მიწოდებას, ერთი სიტყვით, საგაფიცო კომიტეტმა სრული პასუხისმგებლობით გაგვიცხადა, რომ ისინი (შიგნითი კორუფციები), როგორც ამ უსამართლობის „მსხვერპლი“ არ ითხოვენ არც ნაშრომების აპელაციას, არც გამოცდების ხელშეწოდებას, ითხოვენ მხოლოდ ერთს — ფასიან სწავლებას, რითაც მათ საშუალება მიეცემათ მოხვდნენ სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო თუ ექიმობის ღირსნი რამდენად არიან, იმედი აქვთ რომ ამას პირველივე სესია გამოავლენს...  
ცნობისათვის: მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთაგან განსხვავებით საგაფიცო კომიტეტი, (მათივე განმარტებით) არანაირად

არ ზღუდავს რექტორატს. შენობაში ფუნქციონირებს ლაბორატორია, არ ფერხდება სტიპენდიების, ხელფასების თუ ტალონების გაცემა, არქივში თავისუფალი შეშვება.  
უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საგაფიცო კომიტეტი აღმფრთვებულია საზოგადოების გულგრილობით, რექტორის უგულისხმობით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უუურადღებობით...  
რომელ მსაჯულს ვკითხოთ სამართალი? შეგიძლიათ თქვენს სასტუმრო ოთახში, რომელშიც მხოლოდ 50 კაცი ეტევა, ისიც დიდი გაჭირვებით, ასადილოთ 150 ადამიანი? — მოშიშვლეთა მოთხოვნის დაკმაყოფილება ნიშნავს იმას, რომ თქვენ ეს მოახერხოთ — გვითხრა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა არჩილ ასათიანმა. როგორ შეუძლია ინსტიტუტს, რომელსაც არა აქვს არანაირი საშუალება (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) დამატებით ჩარიცხოს 600 კაცი?.. სტუდენტობა მართლ სახელი ხომ არ არის, სტუდენტობას სჭირდება აუდიტორიები, ლაბორატორიები, პროფესორ-მასწავლებლები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთავარი ერთია — მოშიშვლენ

ამის მოთხოვნის არავითარი იურიდიული უფლება არა აქვთ ერთი მიზეზით: ორ საგანში მიღებული აქვთ ნიშანი „2“. გამოცდის დროს დაეუფვით და მიგვით მთ ფასიანი სწავლების უფლება, მაშინ რა ვუპასუხოთ იმ ოთხას აბიტურიენტს, რომლებსაც 4 საგანში დამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ და ჯერჯერობით სდუმან... მიზეზები კომისიის მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს კი აუცილებლად სჭირდება დამტკიცება. სხვაგვარად ეს ცილისწამებაა. ყველა აბიტურიენტის ნაშრომის ქვერასალი ადგილზეა და მათ შეუძლიათ ამ ნაშრომების აპელაცია, რასაც სრულებითაც არ სჭირდება შენობის დაკავება და მით უმეტეს — შიმშილი.

23 ოქტომბერს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატის შენობაში 35 აბიტურიენტი შიმშილობდა. მოშიშვლენებთან ერთად იყვნენ მათი მშობლებიც: ყველანი ერთად კი 24 ოქტომბერს ელოდნენ. ამ დღეს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მათი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.  
მარიანა დონაქი  
ოლგა გველსინაის ფოტოები.



P. S. 24 ოქტომბერს გამართულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე აბიტურიენტთა საკითხი არ განხილულა.  
დარბაზში, სადაც საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა, აბიტურიენტებმა დაფინანსებული მოთხოვნით დატოვეს სამეცნიერო საბჭოს 38 წევრი, რომელთაც შეიმუშავეს გაფართოებული საბჭოს სხდომაზე წარსადგენი შემდეგი პროექტი:  
1. ნახევრადამხვდელი ქულების შკონე აბიტურიენტები ჩარიცხონ ინსტიტუტში.  
2. დადებითი შინა აბიტურიენტები ინსტიტუტში ჩარიცხონ სამეურნეო ანგარიშზე.  
3. ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სამედიცინო ინსტიტუტს გადმოეცეს ახალი ბაზები.  
4. მე-3 და მე-4 საგანში ჩაჭრილი აბიტურიენტები ჩარიცხონ მხმენელებად (სამეურნეო ანგარიშზე) და მიეცეთ საშუალება აღნიშნულ საგანებში გამოცდები ჩააბარონ იანვარში.  
აქცია გრძელდება...  
ამჟამად მე-3 და მე-4 საგანში ჩაჭრილი აბიტურიენტები მოითხოვენ, რომ მიღებულ პროექტს რაც შეიძლება სწრაფად მიენიჭონ იურიდიული ძალა...

ახალ წელს აღამიანი ყოველთვის ალტაცებისა და სინაურის გაუტყობიერებელი გარემოების ელ-ოღება. ყოველთვის იმედიანად ვართ, რომ ფრთხილ შეისხამს ჩვენი აუხდენელი ოცნებები. მთავრობა და ხელისუფლებაც არ გვაკლებს სახალწლო „სიურპრიზებს“, მან უკვე წინასწარ დიფიუზი „ზრუნვა“ და „საჩუქრების“ მომზადება. ჩვენი მზად უნდა ვიყოთ მაღლიერების გამოსახატავად.

იმ ვასაპირზე, რომ პრესა უნდა გაძვირდეს უკვე გაუწყეთ, ხეტყისა და სამშენებლო მასალების ფასების მომატების ამბავს ყურს თქვენც მოკრავდით. პურსა და საერთოდ სურსათში რომ აგერ ჩვენს თვალწინ მოიმატა, ფაქტია, კონოტეატრებში სანთლის საბეზნელია 40-50-იანი და თუნდაც 70-კაპიანი ბილეთები და ასე შემდეგ.

სამწუხარო ამ ამბავში ის იყო, რომ გაძვირებები, როგორც წესი, უმეტესად საკავშირო მთავრობისგან მოდიოდა, ჩვენ კი ჩრდილში ყოფნას ვამჯობინებდით. „საბედნიეროდ“ ამგვარი პესიმიზმის მიზეზი ძირფსვიანად გაგვიჩაჩქარა ჩვენს კეთილდღეობაზე „მზრუნველი“ ახალი „სამეულის“ — თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის ბ. დარჯინიას, გაერთიანების მთავარი სეკციის დირექტორი. მადრამისა და თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიონალის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის ზ. ზურაბიშვილის წერილმა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაკების აუცილებელი პირობების შესახებ. ასლი გადაგვხვან საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირების კონფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ფინანსთა სამინისტროს, ფასების სახელმწიფო კომიტეტს, შრომისა და სოციალური საქითხების სახელმწიფო კომიტეტს, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროებს.

„დოკუმენტში“ აღწერილია ჩვენი ტრანსპორტის საკვალლო მდგომარეობა და აქედან გამომდინარე პერსპექტივებიც. მოვიყვანთ რამდენიმე ფრაგმენტს.

„როგორც მოგეხსენებათ, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი თავისი ხოციალური დანიშნულებით და ეკონომიკური პარამეტრებით ძირფსვიანად განსხვავდება საერთო ხარგებლობის ტრანსპორტისაგან და განვლილი ათწლეულების მანძილზე ამ განსხვავების იგნორირებას მრავალი მწვავე პრობლემა წარმოშვა, რის შედეგადაც თბილისის მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი (ავტობუსები, ტრამვაი, ტროლეიბუსი, მიკროავტობუსი, მსუბუქი ტაქსი) მუშაობის დღეგრძელობის დროს სრულფასობით არ შეესაბამება დედაქალაქის 1,3 მილიონიანი მოსახლეობის ინტერესს და მის საერთო ინფრასტრუქტურას“.

პარტიკულური მეთხველო, ხომ შეგისრულდით დიდი ხნის ოცნება, რომ თქვენს „ინფრასტრუქტურას“, როგორც იქნა, დაადასაქმებო. იმის დასადგენად, თუ რას გვიძირდება ტრანსპორტის ხელოვნური ღონე, პროექტის ავტორებს ყველაფერი დაუანგარიშ-გაუანგარიშებით. აომონილია, რომ მიწისზედა ტრანსპორტი ქვეყნის მასშტაბით ზარალიანია და სახელმწიფოსაგან ათეულ მილიონობით მანეთის დოტაციის იღებს: მაგალითად — მოსკოვში 220 მლნ. მანეთს, ჯ. ლენინგრადში — 110 მლნ-ს, ქ. კიევიში — 65 მლნ-ს, ქ. ბრესტში — 40 მლნ-ს, ქ. ბაქოში 22 მლნ-ს, ქ. ერევანში 20 მლნ-ს და ა. შ. „თბილისში კი, ხადაც გუ-ცილებით რთულია, თბილისის ხასტადა განვითარებული შიდა საქალაქო ქუჩა-მაგისტრალების ქსელი და მძღოლების მუშაობა გაცილებით რთულია, თბილისის სამგზავრო ტრანსპორტი ივერებმა მოგვებით, ამასთან, ბიუჯეტში და სამინისტროს ცენტრალიზებულ

ფონდებში მას დაგვიმოი აქვს 6,6 მლნ. მანეთის გადახდულები“.

ამ სტრუქტურის წყაიბების შემდეგ არ შეიძლება მაღლიერების გრძობით არ განვიმსკვილოთ ჩვენი სატრანსპორტო გაერთიანების მუშაკების მიმართ, რომლებიც მიუხედავად „რთული რელიეფისა და სუსტად განვითარებული შიდა საქალაქო ქუჩა-მაგისტრალისა“, სახელმწიფოს მოგვებასაც აღლევენ, მაგრამ... „სინამდვილეში ეს მოგება მიღწეულია მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუარესების ხარჯზე“. ამასთან, „მძღოლების ხელფასი დაუ-მსახურებლად დაბალია; 1989 წლის მონაცემებით ავტობუსის მძღოლის საბოლოო თვიური ხელფასი შეადგენდა: მოსკოვში — 628 მანეთს, ლენინგრადში — 525 მანეთს, ტალინში — 480 მანეთს, კიევიში — 475 მანეთს, კიშინიოვში

მართავს და შესაბამისად სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების რეალურ გზებზე, მითუმეტეს საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობის პირობებში“.

ხელდათ, რამდენი პრობლემა ჰქონია ჩვენს მიწისზედა ტრანსპორტს. როგორ, რანაირად გადაეკრათ ის? როგორ გავინათ, პარტიკულური პრობლემების მოსაგვარი მოძებნეს თბილისის ტრანსპორტის მესვეურებმა. ხელდათ, ალბათ — თავი არ გაუცხელებიათ სხვადასხვა ორგანიზაციული თუ ტექნიკური პრობლემების მოსაგვარებლად და, არც აციეს და არც აცხელეს, იოლ და ჩვენში უკვე ნაცად გამოსავალს მიაგნეს — გაძვირდეს მგზავრობის ღირებულება: „აუცილებლად უნდა გაიზარდოს სამგზავრო ტარიფები ავტობუსზე, ტრამვაისა და ტროლეიბუსზე 5-დან 50 კაპიამდე, შესაბა-

თიანებაში გადაგვირცხა ბ. დარჯინის, თ. მლორდიის და ზ. ზურაბიშვილის სახელებზე“.

ასე რომ, ამ ამხანაგების პატარა ართმეტეკა და ერთბაშად ცივილიზებულ ქვეყანა გავხდებით. ეს, ასე ვთქვათ, ამ იღვის დიდი „წელილი“ იქნება ერთფულ მოძრაობაში.

ცივილიზებულ ქვეყნებს, ალბათ, შერთი გული გაუსკდებოთ, როდესაც გაიგებენ, რომ 10-15 კი არა, ჩვენი ხელფასის 100 (!) პროცენტს სატრანსპორტო მომსახურებაში უნდა ვხარჯავთ.

მოკლედ, ისეა საქმე, პარტიკულური მეთხველო, რომ თუ გაიმარჯვებს თბილისის ტრანსპორტის მესვეურებმა და თავისი გაიტანეს, ხელფასით მცხოვრებნი მიწისზედა ტრანსპორტს ვეღარ გავგარებთ. თბილისის ქუჩები გაივსება სამსახურიდან ფეხით მიმავალ-მომავ-

**დანიელ აბაშიძე:** ვფიქრობ, ტრანსპორტულმა სწრაფმა ცვლილებამ — წიგნი თუ სუთყერ გაძვირდა, ბაზარში კი ყველაფერს ცეცხლი უქიდა, ვითომ სხვებს რატომ უნდა ჩამორჩნენ? გვარის, რომ პირადად მე ჩემს საცხოვრებელ უბანში დღესვე უნდა დავიწყო რამე სამსახურის ძებნა, რომ ტრანსპორტისთვის ფული არ დავხარჯო.


**ლამარა ტომლიაშვილი:** ტრანსპორტულმა ნუ ეწყინებათ, მაგრამ მათი შემოსავალი ბევრი ჩვენანისთვის საოცნებია. ტრანსპორტით მგზავრობის გაძვირება იმას ნიშნავს, რომ ხელფასით მცხოვრებთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სიღატაკის ზღვარზე ვეცხოვროთ.

**ნელი რევიზიაშვილი:** ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: 1980 წელს, როდესაც საბაღე ნაკვეთი გამოგვიყვეს, პროექტით გათვალისწინებული სახლი სამხანგვარი ათასი მანეთი ღირდა. მომდგენო წელს ეს ციფრი გაორმაგდა. დღეს კი მშენებლებმა მარტო კედლები რომ ამოიყვანონ და გადახურონ, 48 (!) ათასი მანეთი ღირს. ახლა გეკითხებით — 1980 წლის შემდეგ ხელფასი რამდენჯერ გაიზარდა, სახელმწიფო ასე ურცხვად, რეალური შემოსავლის გაუთვალისწინებლად რომ უმატებს ფასებს? თუ დამიჯერებთ, მეორე წელია ხელისმწიფრით არცერთი წიგნი აღარ გამოიშინა — ოჯახს საარსებო საკვებს ხომ ვერ მოვაკლებ. ახლა თუ ტრანსპორტით მგზავრობა გაძვირდა, იძულებული გავხდებით, ეკონომიის მიზნით, უქმე დღეები შინ გავატაროთ. ნუთუ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ კაცს ვერცთ წოდებული „უშრობის“ წლები უნდა მოგვანატროს, როდესაც დღევანდელთან შედარებით, უფრო მეტსაც „ემომარობდით“.

**გიორგი მშპრალიშვილი:** სა-მედიცინო ინსტიტუტის მე-4 კურსზე ვსწავლობ. ცხადია, მშობლები მის კისერზე ვარ. ტრანსპორტით მგზავრობა თუ ასე გაძვირდა, როგორც ამბობენ, მშობლებს ჩემი და ჩემი მისი რჩენა გაუჭირდებათ, მაგრამ ხომ არიან მრავალშვილიანი ოჯახებიც. იმათ რა ეშველებათ? შინ ხომ არ გამოიკეტებიან? საერთოდ, მე რომ მკითხეთ, სტუდენტს თუ მოსწავლეს, ანუ იმათ, ვინც ხელფასს არ იღებს, საბუთის წარდგენის შემთხვევაში უფასოდ მგზავრობის უფლება უნდა ჰქონდეს. 22 წლისა ვარ და რაც თავი მახსოვს, მთავრობა და კერძო პირები ფასების მომატებაში ევბრებიან ერთმანეთს. ეს კი ძალაუფლებურად ანერვეოლებს და ძაბავს აღამიანებს. ამის გამო გახშორდა ინფარქტები, ნერვული სტრესები, შინ და გარეთ მხოლოდ იმანუა საუბარი, თავი რით ვიზრინოთ. ამან ძირი გამოუთხარა ტრანსპორტის ღირებულებებს. ტრანსპორტის გაძვირება ამ ტენდენციას უფრო მეტად გააღრმავებს.

**ბოლოთქმა:** არავისთვის არაა უცნობი, რამდენი პრობლემა აქვთ ჩვენს ტრანსპორტულს. მათგან თვით ტრანსპორტის მუშაკთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პრობლემა ერთ-ერთი აუცილებელი და სასწრაფო გადასამწყვეტია. ისიც ცნობილია, რომ დღეს სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებისათვის მართლაც დიდი თანხებია საჭირო. მაგრამ, ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი. რა ქნას ორგანო (ხელფასზე მცხოვრებმა) მოქალაქემ ასეთი იღვიბის რომ დაეხდოთ მომსახურების სხვა სფეროს მუშაკებსაც? შეიძლება, ეს ვიღაცამ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საბოტაჟადაც კი მიიღოს. ჩვენ კი გვგონია, რომ თბილისის ტრანსპორტის მესვეურები საყოფიერო უუნარობის გამო, ნაცვლად იმისა, რომ მოიძიონ რეზერვები, ცდილობენ პრობლემა ცალმხრივად გადაწყვიტონ. მომსახურების გაძვირება აქ შესაძლოა ერთ-ერთი ღონისძიებად გამოდგეს და არა ერთადერთი, იოლ გამოსავლა.

## იოლი გაგონაპლის ძიებაში



— 465 მანეთს და ა. შ. თბილისში კი 298 მანეთს“.

„კიდევ ერთი შედარება: შემოსავლების ყოველი ერთი მანეთიდან ავტობუსის საწარმოები ხელფასის ხაზით დღეულობენ: მოსკოვში 87 კაპიკს, ლენინგრადში — 88, კიშინიოვში — 87, ტალინში — 86, კიევიში და მინსკში 88 კაპიკს, თბილისში კი 50 კაპიკს“.

უსაშველო ჩვენს მტერსა და დამაქცევარს, ციფრები მართლაც მეტყველი და ალბათ რაღაც გამოსავალი კიდევ უნდა მოიძებნოს. ვნახოთ საით მიჰყავთ მსჭელობა ავტორებს.

„ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტზე იხარჯება საშუალოდ სოაცხბო ბიუჯეტის 10-15 პროცენტო, ჩვენთან კი 1-2 პროცენტს არ აღემატება“.

ხელდათ, როგორ უჭობნიათ ტრანსპორტის საქმეში „ცივილიზებულ“ ქვეყნებს?

საინტერესოა, ცივილიზებულ ქვეყნებს, კვებაზე ხელფასის რამდენი პროცენტი ეხარჯებათ? აქ თუ მაინც ვერ ვაჯობთ, მოგვჭრია თავი და უსაა.

„წინასწარ გასათვალისწინებელი მძიმე შედეგები მოჰყვება ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტისათვის 1991 წლიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადახვლას. როგორც განვარაუბნა ცხადყოფს, თბილისის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტზე მოსალოდნელი ხარჯები 1990 წლის დონესთან შედარებით 85,4 მლნ მანეთით ანუ 81,8 პროცენტით გაიზარდება“.

არადა, ხანამ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი იქნება ზარალიანი, საუბაროდ კი არ შეიძლება დარჩეს ეკონომიკური ფორმებით

მისად, მიკროავტობუსებზე, სამარშრუტო ტაქსებზე და ექსპრესულ მარშრუტებზეც“.

აქ, სულმოსათქმელად, ზედმეტი არ იქნება, თუ წუთმეხვენებს ავიღებთ (იმის მიხედვით, ვის როგორი ნერვები გვაქვს) და მხოლოდ ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დავატრილოთ ფირი. ყველაფერი რიგზეა, არავითარი მხედველობით პალუცინაცია, ტრანსპორტელები ტრანსპორტის მგზავრობის საფასურის გაძვირებას გვთავაზობენ და თანაც ათჯერ. ამ თემას ქვემოთ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით, ახლა მოდით, ერთად განვმარტოთ სიტყვა „შესაბამისად“.

მოგეხსენებათ, ზოგიერთი მიკროავტობუსით მგზავრობა 15 კაპიკიდან 40 კაპიკამდე ღირს. ეს ციფრები ახლა ათზე გაეამრავლოთ და გამოდის, რომ ზოგიერთი სამარშრუტო ტაქსის მგზავრობა 4 მანეთის გადახდა მოუწევს.

მაგალითად № 44 სამარშრუტო ავტობუსით „მიონამდე“ და უკან არც მეტი, არც ნაკლები, 6 (!) მანეთია საჭირო. თუ ქალაქში მოვიხდათ გასვლა-გამოსვლა, სამგზავრო ტრანსპორტის ხარჯები 10 მანეთს გადააპარებებს. ოცსულად ოჯახზე გადაანგარიშებით თანხა, ცხადია, „შესაბამისად“ გაიზარდება.

სამწუხაროდ, აქ რატომღაც არ აფერია მინიმუმული ჩვეულებრივი ტაქსებზე. ეყოფათ თუ არა მათ ჩვენი ხელფასის დარჩენილი ნაწილი?

ვფიქრობ, ეს პუნქტი დასახვევია. ეგერიკ! მოვიფიქრო, ხომ არ აჯობდა, რომ ჩვენი ხელფასი მთლიანად სატრანსპორტო გაერ-

ლი ხალხით. ზოგი პირი მარგებელია, მოგეხსენებათ, ქართველები საბჭოთა კავშირში ყველაზე ჰარბონიანი ხალხი ვართ და იქნებ ახლა მაინც გამოსწორდეს მდგომარეობა. პირი სიტყვით, ამ მხრივ დიდი პერსპექტივა გველის.

საერთოდ კი, ჩვენი ყოფას ისეთი პირი უჩანს, არაა გამორიცხული, ახალ წელს ღვიბის გარეშე შევხვდეთ. ამას იმდენი ვვარაუდობ, რომ, მოგეხსენებათ, ღვიბიც საკმარის უნდა გაძვირდეს. ჩვენი ჯიბის პატრონები კი (მანამდე ალბათ მიწისქვედა ტრანსპორტზე გაძვირდება), ალბათ, ლუღის ყიდვასთან თუ მოვანერხებთ, ჰოდა, ვფიქრობ, სწორედ ახალ წელს იქნება უპირაინი ლუღის კაიხით ხელში ვადღეგრძელოთ ისინი, ვინც ჩვენი კეთილდღეობისთვის იღვწის“.

### ჯამალ კახრაძე

**რამაქციისაბან:** ეს წერილი ერთხანს ილო რედაქციაში. მანამდე გადაწყვიტეთ უშუალოდ იმათ აზრის გაგება, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს. გთავაზობთ ჩვენი ოპერატიული პრესგამოკითხვის შედეგებს:

**მაია ტომარაძე** — ვცხოვრობთ თემქის დასახლებაში. სამსახურში მისვლამდე ორი და, ხანდახან, სამ ტრანსპორტის გამოცვლა მჭირდება. საშუალოდ მგზავრობაში, ტაქსის ჩათვლით, დღეში, მინიმუმში, მანეთი მუხარჯება. ჩემი ხელფასი, დღუქვითაგად, 130 მანეთია. გამოდის, რომ თუ 5-ჯერაც კი გაძვირდა ტრანსპორტი, სამსახურს თავი უნდა დავანებო, რადგან მთელი ჩემი ხელფასი გზაში დამეხარჯება.

## ნერილი „ახალგაზრდა ივერიელს“

23 ოქტომბერს ვაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“. გამოქვეყნდა საქართველოს მშენებელი, ვახცხალება, რომელიც ეხებოდა უზგოლის რაიონის ზღვისპირეთის ტერიტორიაზე დაბა ახაკლიასა და სოფელ განმუხურში ვახალ-

გებული სამხედრო ბაზების ფუნქციონირებისაგან მიღებულ სავალლო შედეგებს. საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია „აიეტი“, რომლის წეს-

დებასა და პროგრამაში ერთ-ერთი ძირითადი აღგილი უკავია აღნიშნული პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლას, მთლიანად იზიარებს და უერთდება საქართველოს მშენებლის მოთხოვნებს:

აღნიშნული სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივ გაუქმებას, ხოლო სამხედრო მოსამსახურეთა უმოკლეს ვადებში საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გაციანას.

საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია „აიეტი“.

**მინაშარი:** ასოციაცია სწავლობს და ამზადებს მასალებს მთლიანად საქართველოს ზღვისპირეთში არსებული სამხედრო ბაზების შესახებ, რომლებიც მალე გამოქვეყნდება და „აიეტი“ დაიწყებს აქციებს საქართველოს ზღვისპირეთიდან სამხედრო ბაზების განიხათვის.



### საზოგადოებრივი განვითარების მრავალსაფეხოვანი ისტორიამ

დადასტურა თავისუფალ პარტიო-რთა ურთიერთობის უპირატესობა ყველა სხვა სახის ურთიერთობებთან შედარებით. სწორედ ეს აყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მონა ჯერ გადაიქცა ყმადა, ხოლო შემდეგ კი თავისუფალ მშრომელად. სახელმწიფო ურთიერთობაშიც ანალოგიური მოვლენა შეიმჩნევა. თუ იმპერიული სახელმწიფო თავდაპირველად კოლონიის ექსპლუატაციას ატარებდა, შემდეგ ეს ურთიერთობა გარდაიქმნება ნახევარკოლონიის ურთიერთობად და ბოლოს თავისუფალ პარტიორობის თანამშრომლობაში. ეს კაცობრიობის განვითარების ისტორიული კანონზომიერებაა და მისი იგნორირება შეუძლებელია. ეს გზა გაიარა მსოფლიოს თითქმის ყველა ერმა და ვაი, რომ ჩვენ ამ გზის გავლისას, არცთუ იშვიათად, სხვისი მაღალი დამაკმაყოფილებლის ფუნქციებს ვასრულებდით. და თუ არა ქართული გზის უკვდავება, ჩვენს სახელმწიფო, მხოლოდ ისტორიის ფარდაკარგული ფურცლები თუ შემოინახავდნენ. საბუნებრივად, ჩვენმა ერმა შესწავლია ისტორიის ამ უმძიმესი გამოცდის საბარბაე და მიაღწია იმ ზღვარს, რომლის მიღმაც მსოფლიოს თავისუფალი ურთიერთობის ეფორია საფუძველი იქნება წარმატებით გადალახვა ჩვენს ეროვნულ შეგნებაზე და სიბრძნეზე დამოკიდებული, რომ უკეთ ვავიცი-ნობიეროთ ჩვენი დღევანდელი დღე და ჩვენს ნაშე მღვარი პრობლემები, სადა, გავანა-ლიზოთ, რა ძალ მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე და რანი ვართ ჩვენ. რა გვაქვს დღეს და რას მო-ველით ზვალსდგელი დღისაგან.

დღეს, როდესაც ასე გაცხრივ-ლებით ვსაჯლობთ ჩვენს ეროვნულ ტრადიციას, ხშირად რატო-მაც მის საწყისად 1921 წლის თე-ბერვალს მივჩნევთ. არადა ეს თა-რილი 1801 წელს დადგენილი სუ-ქტაციის მეორე მოქმედების და-საწყისია, იმ მეორე მოქმედების, რომელიც დადგა მეფის რუსეთის მოღვრის ხელის იმპერიის მედ-რომში კომუნისტურმა პარტიამ. ის აყო მისი სტრატეგიის ავტორიცა და რეჟისორიც. ეს მან შექმნა სი-სასტიკისა და ცინიზმის იმპერია. იმ-პერია, რომელიც ადამიანთა და თვით მთელი ხალხების სიცოცხლ-ის ფასადან შექმნილია.

ჩაივლო რა ხელში ძალაუფლე-ბა, მან უპირველეს მისხდა დასაბ-აღედგინა იმპერიის ძველი სახლ-ვრები და შესაძლებლობის ფარ-გლებში გაუფართოებინა კიდევ ის. რუსეთი, რა ტქმა უნდა, ვერ შეე-ლოდა კავკასიის და კრძოდ, სა-ქართველოს, სადაც მას იზიდავდა ბუნებრივი სიმდიდრეები და მისი სტრატეგიულად ზელსაყრელი მდგ-ბარობა. დაარღვიანა ყოველგ-ვარი ადამიანური, მორალური თუ პოლიტიკური ეთიკის ნორმები, ცეცხლითა და მახვილით გადაუარა საქართველოს, სისხლში ჩაახშო მისი თავისუფლებისმოყვარე სული და დაამყარა იქ არანაშული სისხ-სლიანი დიქტატურა. საქართველო-ში კვლავ უკნის ჩამოწვა, სადაც ეროვნული სულის მცირე გამოვ-ლინება, ნათელი აზრის მცირე გა-ილვებაც კი სიკვდილის განაჩე-ნის ტოლფასი იყო.

შესაშური გულმოდგინებით ილ-ვწოდნენ ქართველი მართონებები რუსული საქმის საკეთილდღეოდ. რებრისების ერთ ტალღას მეორე ენაცვლებოდა. სისხლისგან იც-ლებოდა ქართული სული და აზრი. შემოქმედებითი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი ფიზიკურად გაა-ნადგურეს. შრომელ ხალხს კი მო-ნის განახლებული უღელი დაადგეს. მათ უარყვეს ბუნების ერთ-ერთი უძირითადესი კანონი — კონკრ-უტების კანონი, ანუ ბრძოლა არ-სებობისათვის და შეცვალა ის საზოგადოების გეგმარბიერი გან-ვითარების საკუთარი კონცეფ-ციით, რომელიც სინამდვილეში სხვა არა იყო რა თუ არა ეკონო-მიკაში დიქტატურის „მეცნიერულ“ დონეზე დაკანონება. მათ დაავიწყ-

დათ, რომ ბუნების კანონები ჩვე-ნი სურვილებისაგან დამოუკიდებ-ლად არსებობენ და მათ იგნორი-რებას ბუნება არ გვაპატიებს. ისინი ვერ მიხვდნენ იმ უბრალო კე-შმარტებას, რასაც რამდენიმე სა-უკუნით ადრე მიხვდა თემურ-ლენ-გი, როდესაც განაცხადა: მე ცხენ-ზე მჯდომარე მჯდომარე მსოფ-ლიო, მაგრამ ცხენზე მჯდომარე სახელმწიფოს ვერ ვმართავთ.

შედგმაც ვერ დაეყოფა. ბუნე-ბამ მკაცრად დაგვსაჯა თავმჯდომე-სათვის. განადგურდა ჩვენი ეკონო-მიკა და აქედან გამომდინარე, და-მოკიდებულება შრომისადმი. დამ-ხინჯდა ჩვენი ფსიქიკა. გლეხმა შეიძულა მიწა, რადგან მას შრომის პროცესი კი არა, შრომის შედე-გები აკავშირებდა მასთან. ათობით წლების არაადამიანურმა ექსპლუ-ატაციამ გლეხი იმდენად დააბეჩავა, რომ მას სრულიად კანონზომიერად მიაჩნია მისი ექსპლუატაცია, სრუ-ლიად ბუნებრივად მიაჩნია, რომ სახელმწიფოს გარდა მას უტი-ფრად ძარცვავენ სახელმწიფო მო-ხელეები და ყველა, ვისაც ამის

# სიტყვა უნება, მართვალ კაცო!

საშუალება აქვს. საოცარი კომუ-ნისტების გამოგონებულნი ნიჭი ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძარცვის სფეროში. თვით ფაშის-ტურ გერმანიასაც კი საბჭოთა კა-პიტლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კოლმეურნეობები არსად არ გაუშუქებია, რადგან მისმა მალა-მა ინტელექტუალს კი ვერ გააოი-განა ადამიანის ექსპლუატაციის უკეთესი საშუალება. კომუნისტე-ბის მთელი ძალისხმევა მიმართუ-ლი იყო შექმნათ ერთნაირად მო-აზროვნე „რობოტების“ სახელმწი-ფო, რომლის მართვის პულტი მხო-ლოდ ერთი კაცის ხელში იქნებო-და. ყველა სხვაგვარად მოაზრო-ვნე კი უნდა გამოხშირულიყო, როგორც საჩუქრული ყანაში.

შეიქმნა რუსულ-მონღოლური სულით გაქურდული იმპერია, რომელიც თავისი სისხლიანი საქმე-ბის მასშტაბურობით ბევრად აღე-მატება მსოფლიო ისტორიის მეს-სიერებაში არსებულ ნებისმიერ სისხლიან დიქტატურას. მაგრამ ყო-ველ ეპოქას აქვს თავისი დამახ-სიათებელი ნიშანი. წინა საუკუ-ნეებისაგან განსხვავებით, თანა-მედროვე დიქტატურა თავისი სისხლიანი საქმეები რამე კეთილ-შობილური იდეებით უნდა გაამარ-თლოს. მათ აქაც გამოამონებლო-ბის დიდი უნარი გამოამტკიცეს. ყოველი ახალი ლიდერი ხელს იბ-ანს წარსულის ცოდვებისაგან და საჯაროდ გვპირდება აყვავებული და ჰუმანური ქვეყნის აშენებას. მაგრამ ამ სამოცდათწლიანი დიქ-ტატურის მანძილზე არ ყოფილა ხელმძღვანელობის არცერთი თა-ობა, რომელსაც ხელეები ხალხთა სისხლით არ ჰქონდეს მოსვრბილი. ასე იყო ლენინის, სტალინის, ხრუ-შჩოვის, ბრეჟნევის და თვით ნაქები დღევანდელი გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის ეპოქებში. კმარა! პარტია, რომელიც თავი-სი არსებობის მანძილზე ამდენ ბო-როტებას ჩაიდენს, ჰკარგავს მორა-ლურ და იურიდიულ უფლებას ილ-გეს ერის სათავეში. ის კანონით უნდა აიკრძალოს, როგორც კაცო-ბრიობის წინაშე დამნაშავე ორ-განიზაცია, ისე როგორც ომის-შემდგომ აიკრძალა გერმანიის ნა-ციტური პარტია.

საქართველომ ძალზე დიდი სი-სხლი დაღვარა. დაღვარა დრო ისტო-რიულმა სამართლიანობამ იზიემოს. როგორც ხევისბერი გონა ამბობდა: „მომძეთა სისხლი ცაში ღმერთს შესხუტხუტებმ და სამართალს ით-ხოვს“.

კომუნისტური პარტია შიშით შეკუჭრებს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, რადგან მის საწყისებში ზედმეტს თავის დასას-რულს. მას არ უნდა შეელოს თავის სისხლიან საგარეულს და მოს-კოვის ლაქის როლს, ყოველ ღო-ნეს ხმარობს თავისი კარიერის გა-სანანგრძლივებლად. კომპარტიამ, პირველ რიგში, მიმართა ნაცად კოსმეტურ მეთოდებს და უარი თქვა სახელმწიფოს მართვაში მონა-ბოლიის უფლებებზე (საქმით კი პარტიის პირველი მდივნისა და რაისბჭოს აღმასკომის პოსტებს ერთი კაცის ხელში მოუყარა თავი) და აქედან გამომდინარე მთელი სა-ხელმწიფო და ადმინისტრაციული აპარატი კვლავ თავისი დიქტატის ქვეშ დაბრუნდა. რათა მოეხდინა ეროვნული მოძრაობის დისკრედიტა-ცია და ყველა არსებული სისხელ მისთვის გადაებრალებინა, ისედაც გადატაცებულ საქართველოში შე-ქმნა ხელოვნური დეფიციტი პრო-დუქტებითა და სხვა პირველი მოხ-

მარების საგნებით მომარაგების სა-კითხში. მაღალი ტრიბუნებიდან ყურები გამოგვიჭედეს საყვედურე-ბით, რომ სამტრედიის ცნობილი აქციის დროს თურმე უკან გაავებ-რუნებია საქართველოსათვის გან-კუთვნილი საესე ეშელონები. სა-კითხავია, სად იყო ეს ეშელონები საქმამდე ან ახლა სად არის? ხომ აქცია დრო გავიდა აქციის დამთა-ვრებიდან?

არა, მეგობრებო, ეს მორიგი უსი-ნდისო სიტყუაა ეროვნული მოძრაობისათვის სახელის გასატეხად. მატერიალურის გარდა იდეო-ლოგიური ფორტიდანაც ცდილო-ბენ ერის აზროვნებაზე ზეგავლე-ნის მოხდენას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში, უბრე-ვლესად, სამხრეთის მაჰმადიანური მეზობლებით გვაშინებენ, კერძოდ, კი ჩვენი უშუალო მეზობლით — თურქეთით. მინდა, შევხსენო ამ თეორიების ავტორებს, რომ თურ-ქეთი ნატოს სამხედრო ბლოკთან არის დაკავშირებული, რომელიც მხოლოდ თავდაცვის მიზნითაა შექ-მნილი და ამდენად ჩვენთვის საში-შრობას არ წარმოადგენს. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თურ-ქეთს ჩვენს გარდაც ჰყავს მცო-რე მეზობლები, მაგრამ არავინ გა-დაუყვარავს. უდავოდ გასათვალ-ისწინებელია ის ფაქტიც, რომ სამ-ხრეთის მაჰმადიანური ქვეყნებისა-თვის სასიცოცხლოდ მიზანშეწო-ნილია ჰყავდეს მეზობლად დამოუ-კიდებელი, ძლიერი საქართველო, რომელიც დამცველი ბუფერის როლს შეასრულებს მათსა და რუს-ეთს შორის. ამას მათ ისტორიული გამოცდილება კარნახობს. ჩვენ საუკუნეების განმავლობაში გავუ-ძელით უთანასწორო ბრძოლას ავ-რესობებთან, გადავიტანეთ შუა საუკუნეების ქართველები და არ დავდუპულვართ. დაბოლოს, არც „უფროსი ძმებს“ მფარველობის ქვეშ დავგვლებოთ ომი და სისხლის-ღვრა მათივე ინტერესებისათვის.

და დღეს რა ღმერთი გავვიწყრება თუ საქარო იქნება ჩვენი სამშობ-ლისათვის დავიანთოთ თავი. რაც შეეხება რეალურ საფრთ-ხეს, ჩვენ კარგად ვიცით ჩვენს ერო-ვნულ არსებობას და თვითმყო-ფადობას სამხრეთით მდებარე ქვე-ყნებზე მეტად, მის დამეტრალურ-ად მდებარე ქვეყანა რომ ეშუქ-რება.

აი, ეს ორი გზა არის ჩვენს წი-ნაში. ერთი ძველი სისხლიანი, მეო-რე ნათელი და ფართე, შეიძლება დასაწყისში ცოტა ეკლიანიც.

ხშირად გვიქადაგებენ, რომ სა-ქართველო ეკონომიკურად დამოუ-კიდებლად ვერ იარჩებებს, რომ მას არა აქვს არსებობისათვის სა-კმარის რესურსები. ეს სრული სიც-რუეა. დედამიწის ზურგზე ვერ არ დაბადებულა ერი, რომელსაც მეტ-ნაკლებად თავის რჩენა არ შეეძ-ლოს, ეს რომ ასე არ იყოს, რუ-სეთი დიდი ხანია წინსისკვრით გაგვყრიდა იმპერიის შემადგებლო-ბიდან. პირიქით, მას ჩვენი ბუნე-ბრივი სიმდიდრეები იზიდავს ჩვენ-თან. მეორეც, მსოფლიოში ბევრიც მცირე თუ დიდი ერი, რომლებიც საოცრად მძიმე ბუნებრივ პირობე-ბში ცხოვრობენ, მაგრამ აყვავე-ბული ეკონომიკა აქვთ. ნო-რმალური პოლიტიკურ-ეკონო-მიკური წყობის პირობებში საქარ-თველოს შეუძლია გახდეს მძლავრი აგრარული სახელმწიფო. არ არის სავალდებულო ყველა საქარო პროდუქციას ჩვენვე ვაწარმოებ-დეთ. ტრანსპორტის თანამედროვე განვითარების პირობებში საქონ-ლის გაცვლა და ვაჭრობა რამე სიძნელეს არ წარმოადგენს. იმასაც დაბეჭდებით ჩავგინჩინებენ, რომ ჩვენს უბედურებაში ჩვენვე ვართ დამნაშავენი, რომ ქართველი კაცი ბუნებით ზარმაცია. ეს სრული სიტყუაა და მხოლოდ ჩვენი არა-სრულფასოვნების კომპლექსის და-სასაბუთებლად მოგონილი. ქარ-თველი ერი ყოველთვის გამოირ-ჩეოდა თავისი შრომის მაღალ რე-სულტურით. ამის მოწმეა მთელი ჩვენი ისტორია, ჩვენი მატერია-ლური და სულიერი კულტურის მეგლები. რაც შეეხება ჩვენს დღე-ვანდელ შრომისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, ეს თვით ცხო-ვრებამ მოიტანა. მუგალითი გნე-ბავთ? ინებეთ. გერმანელი ერი მსოფლიოში ცნობილია როგორც ერთ-ერთი შრომისმოყვრე და ორ-განიზებული ერი. მაგრამ შექე-დით ორ გერმანიას, ერთი მხრივ, ფედერაციულს, მეორე მხრივ, ეგ-რეთ წოდებულ „დემოკრატიულს“. ერთი თვალის გადავლენითაც ჩანს თუ როგორი იყო შრომისადმი და-მოკიდებულება და ეკონომიკის განვითარება თითოეულ მათგანში. შევადაროთ ერთმანეთს. დასკენე-ბის გაკეთება თქვენთვის მომინ-დვია, მკითხველო. გერმანელმა ერ-მა კი უკვე გააკეთა სათანადო არჩევანი. ასევე ზმირად უსაფუძ-ვლოდ გვდებენ ბრალს ურთიერ-ლალასა და გაუტანლობაში. ესეც ბოროტი მონაპოვია. ერთეული მანჩიკი ყოველ ოჯახში გამოერევა და თუ დღეს ჩვენთან ეს დაავადე-ბა ასე თუ ისე შესამჩნევია ესეც არსებული რეალობის ბრალია. მა-გალითი გნებავთ? ისევ გერმანი-ინებეთ: სანამ ის პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ სახელ-მწიფოს წარმოადგენდა, ერიც მტკი-ცე და მონოლითური იყო, მაგრამ პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრახმა ომის დასასრულს მათშიც ამრავლა შინაგამცემები. რას იზ-ამთ, ესეც, ალბათ, ბუნების კანო-ნია.

დღეს მხოლოდ ჩვენ და არა ვინმე სხვამ უნდა გადაწყვიტოთ 28 ოქტომბრიდან ვიცხოვროთ ისე, როგორც ვცხოვრობდით ში-შში, უუფლებობასა და სიღატაკე-ში, თუ ავირჩიოთ ახალი გზა, გზა დამოუკიდებლობისა და თავისუ-ფლებისა. გზა ჰუმანიზმისა და მშვიდობისა.

აი, ეს ორი გზა არის ჩვენს წი-ნაში. ერთი ძველი სისხლიანი, მეო-რე ნათელი და ფართე, შეიძლება დასაწყისში ცოტა ეკლიანიც.

აირჩიე! სიტყვა შენზეა, ქარ-თველო კაცო!

**თამაზ ალანია,**  
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თა-ნამშრომელი.  
გზობით, მონორარი გადარი-ცხით მერაბ კოსტავას ხახე-ლობის ფონდში.  
სარედაქციო მინაწერი:  
ორივე წერილი არჩევნებამდე დაიწერა, მაგრამ სამწუხაროდ, მათი გამოქვეყნება დაგვიანდა.

## წერილი რედაქციას

# შრამი რმა გადავრუნდვა

მე უკვე 53 წელს მიღწეული ქა-რთველი კაცი ვარ, კომუნისტური დიქტატის პირში და მსხვერპლი. ნათქვამია, ურემი რომ გადავრუ-ნდვა, გზა მერე გამოჩნდება. მე საკუთარ თავზე ვიწვინე მთელი ის არაადამიანური სისასტიკე და მო-ჩვენებითი სიკეთე სკკპ პარტია-რატისა, რომელიც იყო, არის და ალბათ, კიდევ იქნება ყოვლისშემ-ძლე, მისგანვე შექმნილი ადამის-ტრაკიულ-ბიუროკრატიული სამა-რთლადამცავი აპარატის მეშვეო-ბით.

ამას მე ზერეულდ არ ვლაპარა-კობ, მქონდა ბედნიერება ამში თავად დაერწმუნებულყავი 1969 წლიდან სუკის ორგანიზებში სხვა-დასხვა ხანით მუშაობას პერიოდ-ში. აქედან 8 წელი სუკის აპარატი-დან სამუშაოდ ვიყავი მიმაგრებუ-ლი საქართველოს კომპარტიის ცე: ნტრალურ კომიტეტში, პარველი მდივნის დაცვის უფროსად. სწო-რედ ეს 8 წელი იყო განსაკუთრე-ბული.

თანამდებობრივად უამრავი კო-ნტაქტი მქონდა როგორც ცენტრა-ლური კომიტეტის თანამშრომლე-ბთან, ასევე მათ დაქვემდებარებაში მყოფ რესპუბლიკის თითქმის ყვე-ლა ორგანიზაციის ხელმძღვანელებ-თან. ასე რომ, ძალიან კარგად ვი-ცნობ მათ ფსიქოლოგიას და ბევ-რის ზნეობასაც.

ადამიანებმა, დღეს რომ ხელმძ-ღვანელ თანამდებობებზე ვხედავთ, რთული გზები გაიარეს. ზოგმა თა-ვისი მორჩილებით და მოქმედლო-ბით, ზოგამც სული ეშმაკს მიჰყი-და და თანამდებობას ისე მიაღწია. ახლა კი ისინი მაღალი ტრიბუნი-დან ერის კეთილდღეობაზე დალა-დებენ.

მრცხენია, რომ აქამდე სკკპ რიგები ვიყავი და 17 წელი „შშო-ბლიურ პარტიას“ საწევროს ვუხ-დილი. 1986 წელს გამიცხეს პა-რტიიდან, მე კი თავი მოვიკალი და აღვიდგინე პარტიულობა, ამანჯა ნათქვამი: „სიბერემდე სიქი-რლო“, კაცი დაგებრდი და ახლა-და ამეხილა თვალი, თუ ვის ვემსა-ხურებოდი.


მინდა, მოვუწოდო საქართველოს სუკ-ის ყველა თანამშრომელს, მი-იღონ სწორი გადაწყვეტილება, მისობრივად დასტოვონ პარტიის რიგები და მხარში ამოუდგნენ ერ-ის პატიოსან შვილებს, რომლებიც საქართველოს ნათელი მომავლის-თვის იბრძვიან. გვეყო, რაც ვემსა-ხურეთ კომუნისტური დიქტატს!

ამ ერთი თვის წინათ, სრული-ად საიღუმლოდ, სუკის ახალმა თავმჯდომარემ ტარეულ ლორთქი-ფანიძემ პენსიის დანიშვნა შემომ-თავაზა, რაზეც მე უარი განვაცხა-დე.

გადაწყვეტე, ის ჩემი მცირე ჯი-ლდობი, რომლებიც სუკ-ში მუ-შაობის პერიოდში მაქვს მიღებუ-ლი, პარტიულითაა ერთად უკან დავაბრუნო, უარს ვაცხადებ პო-დალოკაციის წოდებაზეც.

**ჯამალ ქასარაილი**  
მინაწერი: როგორც ავტორმა განაცხადა, 24 ოქტომბერს მან გი-ლდობის ოფიციალურად ჩაახარა უშიშროების კომიტეტსა და პარ-ტიის ცენტრალურ კომიტეტს.





### ჩვენი საღისეურო კლავი

**წარმოს** სათაურით ერთ-ერთი ამერიკელი კინოფილმის სახელწოდების პერიფრაზა გამოვიყენე. წერილში კი საუბარი რაჭაზე და საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭაზე“ მექნება, რომელიც თითქმის ერთი წელია არსებობს ქალაქ თბილისში.

არ ვიცი, ქოსატყუილას გარდა, თუ ვინმე შესძლებს დღეს რაჭაზე რაიმე გასახარელის თქმას, მაგრამ სამწუხარო რამდენიც გინდათ, იმდენია სათქმელი.

კომუნისტური პარტიის სამოცდაათწლიანი „ბრძნული“ პოლიტიკით, რაჭა უფსკრულის პირას დადგა. თუმცა კი არ დადგა, არამედ დღესაც სრული სვლით მიეჭანება უფსკრულისაკენ. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, რაჭა დღესაც დღითი დღე იცლება მოსახლეობისაგან. ეს პროცესი სრულდება არ აპირებს შეჩერებას. მოვიყვან მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებს.

1990 წლის პირველ ექვს თვეში ამბროლაურის რაიონში დაბადებულია რიცხვით 79, გარდაცვლილთა რაოდენობა 205-ს აღწევს. ამ პერიოდში რაიონში საცხოვრებლად შემოვიდა 92 ადამიანი, გავიდა 138. მარტივი გაანგარიშებით დავრწმუნდებით, რომ მარტო ამ ექვსი თვის განმავლობაში ამბროლაურის რაიონს დააკლდა 172 ადამიანი.

შეგნებულად აღარაფერს ვამბობ შიდა მიგრაციაზე, საგანგაშო ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და სხვა. რა უნდა ქნას იმ უნიათო კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც თავის ტულსურობას აღიარებს, მაგრამ ძალაუფლების დათმობას ცოცხალი თავით არ აპირებს?

პროფესიით ბავშვთა ექიმი ვარ და ხშირად შემიხვედრია: რამდამშრალი დედა შიმშილისაგან ატირებულ ბავშვს მატყუარა საწოვარს უდგის პირში.

ასევე შეაჩნა კომუნისტურმა პარტიამ გაჩახაგების პირზე მისულ რაჭას საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“.

ახლა უკვე დროა, საზოგადოება „რაჭასთან“ სიტყვა საქველმოქმედო ბრწყინებულში ჩაისვას და ვთქვა: აკვიტებულნი „ლენინური იდეებით“ სეგნდგამწარებელი რაჭის შეყოლებას ამჟამად „საქველმოქმედო“ საზოგადოება „რაჭა“ ცრუ დაპირებებით და ბაქი-ბუქით ცდილობს კომუნისტური პარტია. ამდაც ვუწოდებ ამბროლაურის რაიონულ გაზეთში საზოგადოება „რაჭას“ „კომუნისტური პარტიის მორიგი ბლეფი“.

„რაჭის“ ჩამოყალიბებას, რა თქმა უნდა, თავდღანვე სკეპტიკურად შეხვდა მკვიდრ რაჭველთა თუ „თბილისელ რაჭველთა“ გარკვეული ნაწილი.

ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ცოტა უხერხულიც კი არის, რაჭის პრობლემების გადაწყვეტა გინდოდეს და რაჭის მაცხოვრებლებს არაფერი შეეკითხო, რაჭის საშველად საზოგადოებას ქმნიდეს და მის დაფუძნებელ ყარლობას მკვიდრ რაჭველთა გარეშე ატარებდეს.

ალბათ, სახელოვანმა რაჭველებმა ზამთარში და თოვლში თბილისიდან რაჭაში ჩამოსვლით თავი არ შეიფუხეს და იფიქრეს: რა გვინდა რაჭაში, რაჭველებმა რა უნდა გვითხრან ისეთი, რაც ჩვენ, პროფესორებს, აკადემიკოსებს და გენერალურ დირექტორებს არ გვეცოდინება.

არადა, ბევრს მართლაც ვერაფერს ვერცოდით, გარდა იმისა რომ რაჭველ კაცს მუდმივი სამუშაო სჭირდება, გზა სჭირდება და კიდეც, თუ მინცდამინც ძალიან არ შევაწუხებთ ვინმეს — ტელევიზორი.

თუმცა რა, რომ გვეთქვა, დავიჭვრებდნენ ეს პროფესორ-მინისტრებ-დირექტორები? აკი ბევრჯერაც ვუთხარი მას შემდეგ, მაგრამ ყურით არ გვათხოვეს. — ჩვენ რაჭა კომპლექსურად უნდა შევისწავლოთ. არადა რომ აღარ დადგა საშველი ამ „კომპლექსურ შესწავლას“? რას სწავლობენ მინცდამინთანას, ან რა ისეთის შესწავლას აპირებენ, რაც თვითონ ჩვენ, მკვიდრმა რაჭველებმა არ ვიცით?

ქონდა პარტიე, სახალხო ფრონტის ამბროლაურის რეგიონალური ორგანიზაციის სახელით მისალმება გამგზავნა საზოგადოების დამფუძნებელი ყარლობისადმი, სადაც მოკრძალებით ჩვენს ორიოდ

## „რაჭა“ რაჭის ფინანსდღე

შენიშნას თუ წინადადებასაც ვთავაზობდი. სამწუხაროდ, არა თუ გაიზიარეს ჩვენი აზრი, ყარლობასაც არ გააცნეს, მისალმების პირველი და ბოლო წინადადება წაიკითხეს მხოლოდ. არც რაჭიდან სპეციალურად ყარლობისათვის ჩასულ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსმენა ისურვეს და ტრიბუნიდან ჩამოაგდეს.

ყარლობამ გამგებობს წევრებიც უჩვეულო კრიტიკულებით აირჩია, — ცენზისა და თანამდებობის მიხედვით.

და მინც, რა გააკეთა „საქველმოქმედო“ საზოგადოება „რაჭამ“? საზოგადოება „რაჭის“ ინიციატივით გამართული ერთ-ერთი კონცერტის ადგილას (კონცერტის შემოსავალი საზოგადოების ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო), როყოდ გვიწვევდა კონცერტზე, — „რაჭველებო იჩქარეთ!“ მკვიდრი რაჭველები ცოტა დინჯი ხალხი კი ვართ. ადრე-შინ ტექსტის ავტორივით მართლაც ვერ ავცუნდრუკდებოდით, მაგრამ გაჭირვებამ კონცერტის დასასრულს მინც მიგვიყვანა საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭასთან“. მიგვიყვანა და „საქველმოქმედო“ საზოგადოება „რაჭამ“ უქველმოქმედოდ გამოგვიშვა უკლებლივ ყველა. თუმცა „რაჭის“ გამგებობა შეშინდა, ამ გაჭირვებულმა ხალხმა მართლა არ გაგვაქველმოქმედოსო და ამბროლაურის რაიონული გაზეთის ფურცლებიდან განგვიცხადეს: ჩვენ „პრიმიტიულ ქველმოქმედებაზე“ უარს ვაცხადებთ და „რთული ქველმოქმედება“ გვწაიდაო. შემდეგ კი გააკმალა:

„ლენინულთან დაკავშირებით პრობლემები ჩვენ დაყოფილი გვაქვს შემდგენლობით“.

1. პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით.

2. პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას სპონსორების — ძირითადად რესპუბლიკის სამრეწველო და სხვა საწარმოთა დახმარებით.

3. პრობლემები, რომელიც უნდა გადაიჭრას უშუალოდ რაიონის მოსახლეობის მიერ“.

დაწერეს, წაიკითხეს და თვითონვე გაუკვირდათ: სად არის აქ საზოგადოება „რაჭა“?

„საქველმოქმედო“ საზოგადოება „რაჭა“ თბილისშია და მინცდამინც დიდ შეცდომას არ დაუშვებ თუ ვიტყვი, რომ საერთოდ არ აღელებს რაჭა. არც ნიკორწმინდის ტაძრის ბედი აწუხებს, არც ურავის დარიშხნის წარმოებით ინტერესდება და არც ონის კულტურის სახელში მიმდინარე აქციებში ჩარევით შეუწუხებია თავი.

ნუთუ საზოგადოება „რაჭის“ მესვეურთა ვალი მხოლოდ ის არის, რომ რაჭის ერთ-ერთი ულამაზესი და ყველაზე ხალხმრავალი სოფლის, ლეხის მოსახლეობას მშობლიურ, მამაპაპურ ადგილებზე გული აუყაროს და ეჩინოს, თუ თქვენ მითხოვთ, მთავრობა უკეთეს ადგილებში ჩაგასახლებთ, სახლებსაც ავიშენებთ და სახნავ-საძოვარსაც გამოგიყოფთ. კიდევ ერთი სოფლის უაზრო და ცლით იქნებ მართლაც ბევრი არაფერი დააქლდეს ისედაც დაქცეულ რაჭას, მაგრამ ის კი ნამდვილად უნდა გვახსოვდეს, რომ სოფელი ლეხი საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარია, საქართველოს საზღვარია...

აი, სადამდე მივიყვანა საზოგადოება „რაჭა“? „პრიმიტიულ ქველმოქმედებაზე“ უარის თქმამ და „რთულ ქველმოქმედებაზე“ ოცნებამ. არადა, ოფიციალურად ეს საზოგადოე-

ბრამე პრობლემა აწუხებს რაჭას, ერთ-ერთი უმთავრესი აორის წყალსაცავის პრობლემაა, რომელიც სხვა უამრავ „სიკეთესთან“ ერთად დაუნანებლად ახგრავს და ანადგურებს ნიკორწმინდის ტაძარს. როგორც ჩანს, საზოგადოება „რაჭის“ გამგებობაში მართლაც ბევრი გულგრილი შეიპარა, თორემ როგორ გაწირავდა ნიკორწმინდის ქართველი კაცი და მის ფასად ვალუტებზე ფუჭოტინებს როგორ დაიწყებდა? არადა, რომ შეკლებულა შაორის წყალსაცავმა და ნიკორწმინდის ტაძარმა ერთად შეაღწიონ უვნებლად ოცდამეცამეტე უნდა გაკლებული დედის მუცლიდან დაყოფილი რაღაც, რომ იმასო, შაორისიდან და წყალსაცავის მიღამოებში აშენებული სასტუმროებიდან მიღებული მოგებით ყოველწლიურად შეგძლებოდა ნიკორწმინდის ტაძრის კაპიტალურ რემონტს, წყალსაცავისაგან მასზე მიყენებული

ზიანის უფლებელსაყოფადო. საზოგადოება „რაჭამ“ გაწირა ნიკორწმინდის ტაძარი. საზოგადოება „რაჭა“ ერთგული სიამაყის ვალუტებზე გაიღვას ფანტაზიორებს. კომუნისტური პარტიის მატყუარა საწოვარა — საზოგადოება „რაჭა“ რაჭას დაუბრისპირდა.

ვთქვი, რაჭაში ხუთჯარსკვლიანი სასტუმროს მშენებლობის უაზრობაზე სიტყვას არ გავაგრძელებ-მეთქი, მაგრამ... რომელ ხუთჯარსკვლიან სასტუმროზე ვოცნებობთ, როცა რაჭაში უამრავი სოფელი სასმელი წყლის გარეშე გვეყავს დატოვებული უგზოდ, უტელეფონოდ, უტელევიზოროდ... გვეყავს მიგდებული? ანდა იმ სასტუმროს მოსამსახურე პერსონალის მოყვანა საიდან გვაქვს განზრახული? ანდა...

ქოქოლა საზოგადოება „რაჭას“, ქოქოლა.

რადგან სიტყვა სასტუმროზე ჩამოვარდა, მართლაც ურიგო არ იქნებოდა სოფელ ნიკორწმინდაში ერთი „ჩვენი უბანი“ პატარა სასტუმრო აგვეგო, ერთი აბანო აგვეგო, რომ ნიკორწმინდის ტაძრის სახილველად მოსულ ტურისტებს, ასე თუ ისე შესაფერისად დაგხვედროდით.

იქნებ ვინმემ გაიკვირვოს, მაგრამ „საქველმოქმედო“ საზოგადოება „რაჭა“ რაჭის განვითარების ნამდვილ ხელისშემშლელ ბარიერად იქცა. აი რაშია საქმე: ქველმოქმედება ქართველი კაცისათვის ნამდვილად არ არის უცხო ხილი. პირადად მე შეუძლებლადაც მეჩვენება, ვინმეს შეძლება ჰქონდეს, რაჭის ნამდვილი გასაჭირიც იცოდეს და მის დახმარებაზე უკან დაიწიოს. მით უმეტეს თუ ეს კაცი ამ კუთხის შვილიცაა. სხვათა შორის ასეთი ხალხი არც თუ ისე ცოტა თვით „რაჭის“ გამგებობაშიც. მაგრამ მათ მერ ქველმოქმედებისთვის გაღებული თანხა, თუნდაც მინიმობრივი, აღრესატამდე საზოგადოება „რაჭის“ წყალობით ვერა და ვერ აღწევს. „საქველმოქმედო“ საზოგადოება „რაჭა“ თავის ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას ცოცხალი თავით აღარ ელევს. მას თავისი ფანტაზიები აწუხებს, შაორზე ხუთჯარსკვლიანი სასტუმროს აშენებაზე ოცნებობს. არადა, რომ არ არსებობდეს საზოგადოება „რაჭა“ უკვე დღესვე მოეხსნებოდა რაჭის ბევრ სოფელს წყლის, გზის თუ ტელეფონის პრობლემა.

საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ კომუნისტური პარტიის მორიგი ბლეფია.

საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ კომუნისტური პარტიის მატყუარა საწოვარაა.

საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ და მისი მსგავსი საზოგადოებები შირმაა პარტოკრატის. ასეთივე შირმის ქვეშ დამალვას ცდილობს დღეს კლემტოკრატია. საქიროა დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ რიგგარეშე ყრილობა, რომლის დღის წესრიგში იქნება ქრთადერთი საკითხი: საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ ლიკვიდაცია. რაც შეეხება საზოგადოების ანგარიშზე არსებულ თანხას, მისი გამოყენების საკითხი უნდა გადაწყვიტოს სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ძირითადად რაჭის მკვიდრთაგან იქნება არჩეული.

საქველმოქმედო საზოგადოება

ქველმოქმედების გვირგვინად უტყვას ვალს. მსგავსი მავალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ეს ყველაფერი მინც მხოლოდ საზოგადოების გამგებობის შესახებ გვიქმნის წარმოდგენას და მეტი არაფერი. არადა საჭიროა ასეთ კითხვასაც ვავცეთ პასუხი: როგორ იქნება საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“, მას რომ იდებულური ხელმძღვანელობა ჰყავდეს?

პირდაპირ უნდა ვთქვა: სამწუხაროდ არც მამინ შეიცვლება სურათი მნიშვნელოვნად.

თუ ქველმოქმედებაზე მიდგება საქმე, ამის გაკეთება პირდაპირად შეიძლება, კიდევ ერთი ბიუროკრატული ბარიერის გაუფლვად, შედეგაც უფრო თვალსაჩინო იქნება და ქველმოქმედების ხალი-სიც.

რაც შეეხება რაჭის პრობლემების მოგვარებას მაღალ ინსტანციებში, საამისოდ რაჭის ორივე რაიონი, ონსაც და ამბროლაურსაც ცალ-ცალკე ჰყავთ რაიონის ხელმძღვანელობა, რომელთაც საკმაოდ მაღალი ჯამაგირიც გააჩნიათ და ეს საქმე მათი უშუალო მოვალეობაა. თუ მათ არ ძალუძთ დაქისრებული მოვალეობისათვის თავის გართმევა, ეს უკვე სხვა საკითხია. ამისთვის, რაღაც ახალი ორგანიზაცია ან საზოგადოება კი არ უნდა შეგქმნათ, არამედ უნდა ვიზრუნოთ, რომ მრავალპარტიულობის პირობებში, რაიონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე ღირსეული პირთაგან ავირჩიოთ, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან ხალხის წინაშე. როცა ვაყენებთ საკითხს, რომ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მოქალაქეებმა პირდაპირ არჩევენით აირჩიოს, ურიგო არ იქნებოდა იმაზეც ვფიქრუნა, რომ რაიონის ხელმძღვანელიც ასევე აირჩიოს რაიონმა.

კიდევ ერთიც, საქართველოს რომელიმე რეგიონის გასაჭირზე მართო ერთმა ორგანიზაციამ, პარტიამ თუ რაღაც საზოგადოებამ კი არ უნდა იზრუნოს, არამედ მთელმა საქართველომ ერთად ანუ მთელმა სახელმწიფომ. ამევე დროს არც ეს რეგიონი უნდა იყოს სულ სხვის ხელის შემწყურე, მისი განვითარების, განვითარების პერსონალის მოყვანა საიდან გვაქვს განზრახული? ანდა...

სხვათა შორის, არც რაჭა აპირებს დღემოდამ სხვისი იმედით ცხოვრებას და თუ კომუნისტური მმართველობით გაჩახაგების პირზე მისული რაჭისათვის დღეს დახმარების გაწევას ისურვეს ვინმე, მას ხელი არ უნდა შეეშალოს ბიუროკრატული ბარიერებით.

არც ქველმოქმედება და ამბიცი ეთავსებიან ერთმანეთს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქველმოქმედებას რაღაც გამგებობის ან საზოგადოების წევრობა არ სჭირდება.

საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ კომუნისტური პარტიის მორიგი ბლეფია.

საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ კომუნისტური პარტიის მატყუარა საწოვარაა.

საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ და მისი მსგავსი საზოგადოებები შირმაა პარტოკრატის. ასეთივე შირმის ქვეშ დამალვას ცდილობს დღეს კლემტოკრატია. საქიროა დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ რიგგარეშე ყრილობა, რომლის დღის წესრიგში იქნება ქრთადერთი საკითხი: საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ ლიკვიდაცია. რაც შეეხება საზოგადოების ანგარიშზე არსებულ თანხას, მისი გამოყენების საკითხი უნდა გადაწყვიტოს სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ძირითადად რაჭის მკვიდრთაგან იქნება არჩეული.

საქველმოქმედო საზოგადოება

### მომავალში ქალთა მსოფლიო პირველობის 1988-1991 წლების ციკლის პრეზენტაცია ტურნირის შედეგები

1990 წლის 6-16 ოქტომბერს ბორჯომში, ლიკანის საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობდა პრეტენდენტთა ტურნირი. აი, როგორ დასრულდა იგი (ფრჩხილებში მოცემულია მოგების, წაგების, ყაიძების რაოდენობა):

1-2. ხე ჯუნი (ჩინეთი) — 4,5 (+4-2=1), ალიხა მარჩიი (იუგოსლავია) — 3,5 (+3-3=1), 3-4. ნანა იოსელიანი — 4 (+2-1=1), ალიხა ვალიამოვა (ყაზანი) — 4 (+3-2=2), 5. ნონა გაფრინდაშვილი — 3,5 (+3-3=1), 6. ელენა ახმელოვსკაია-დონაღლსონი (აშშ) — 3 (+2-3=2), 7. ქეთევან კახიანი — 2,5 (+1-3=3), 8. ელიშკა კლიმოვა-რიხტროვა (ჩეხოსლოვაკია) — 2 (+0-3=4).

პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს ხე ჯუნმა და მარჩიამ. მათი დამატებითი ორთაბრძოლა (8 პარტია) გაიხად იანვარ-თებერვალში გაიმართება. მათ შორის გამარჯვებული კი იმავე წლის შემოდგომაზე შეხვედბა მატჩში მათა ჩიბურდანიძეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის.

დემეტა ფიქლოლოგიურმა დატვირთვამ მათ დამატებითი სიძნელეები გაუჩინა. ახალგაზრდებს, მით უმეტეს, მსავსი ტურნირის ახალბედებს, პირიქით, აქეზებდა მეტად ბრძოლა. მათი ნერვები ადვილად იტანდა დამუხტულ სიტუაციას.

აი, მოკლედ ბრძოლის „კარდით“ გრამა: გაფრინდაშვილმა გამარჯვებით აიღო სტარტი (მოუფრო კახიანი). მეორე დღეს იოსელიანთან პარტიის შანსი მიიღო და პარტია პერსპექტიულ ენდშილიში გადადო. მესამე ტურში ვალიამოვასთან საყაიძო პოზიციამ ნონას ძალიან უხეში შეცდომა მოუვიდა (ეტლ „დაუსკა“) და გულსატკეპნი მარცხი იწვინა. მეორე იოსელიანთან დიდი ენერჯია შეაღია უპირატესობის

დებდა, მაგრამ მეორე დღეა რა თამაშის სადავეები. სე ჯუნმა არ აპირებდა უხუტობები და გამარჯვება იოსელიანს მარჩიამაც გაასწრო. გაფრინდაშვილს წინდახედულად მიჰყავდა მასთან პარტია. თანდათან უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ თამაშის მეექვსე საათზე, ალბათ, უკვე დაღლილი, ასცდა სწორ გავრძელებას და მძიმე პოზიციამ აღმოჩინა. მარჩიამ გამარჯვებისთვის გამოიყენა იგი. იმ დღეს ვერც ვალიამოვამ მოიგო, თუმცა აუტსაიდერ კლიმოვას ხედვებოდა. პირიქით, ყაიძის ძლიერ მიადგა. და მოხდა სენსაცია: პრეტენდენტთა ფინალური მატჩის საგზურებს ახალგაზრდა ჩინელი და იუგოსლავიელი დიდოსტატები დაეუფლნენ. ორწრიანი ტურნირი რომ ყოფილიყო,

წლის წინათ მოსკოვში სხვა-ნაირ ჩინელ მოქალაქეებთან ერთად, სწავლიდნენ თამაშს. მამინ ბევრი რამ გავუფრე ჰადრას. სერიოზულ შეჯიბრებებში 1988 წლიდან გამოწვევით, თუმცა მანამდე ჩინეთის ჩემპიონიც ვიყავი, მონაწილეობა მიმიღია მსოფლიო პირველობაში 20 წლამდე ასაკის გონათა შორის ავსტრალიაში, სადაც პირველი ვალიამოვა იყო, მეორე ქეთევან კახიანი. იმავე წელს ემონაწილეობდი ქალთა მსოფლიო თამაშებში სალონიკში, სადაც ჩინეთის გუნდში მეორე დაფაზე გამოვდიოდი. პირველზე ქართველსტრატეგის ცნობილი ჩვენი დიდოსტატები ლიუ შილინი თამაშობდა. დიდი წარმატება მქონდა კულალოშპურის საზოგადოების ტურნირში, სადაც პირველი ნონა გაფრინდაშვილი იყო, მე კი მეორე. მამინ ვადამოცეს საერთაშორისო დიდოსტატის ნიშანი, რომელიც მანამდე მოვიპოვე. ამჟამად ვსწავლობ პეკინის სპორტული კოლეჯის მეორე კურსზე. თავისუფალ დროს მარჩიას შეგროვებთ მიყვარს, ვუსმენ მუსიკას. დიდა ჩემი სიზარულად არ მერგონა თუ ასე მალე გავხდებოდი პრეტენდენტი. ბორჯომი არასოდეს დამავიწყდება.

# რა მოხდა ბორჯომში?

დღეს უკვე ყველამ იცის, რომ ქართველ დიდოსტატებს ხელი მოეცა ბორჯომის ტურნირში. წარუმატებლობის მიზეზები, ჩვენს აზრით, უნდა ვეძებოთ ტურნირის ერთ წრედ ჩატარებასა და აქედან გამომდინარე მონაწილეობის საყაიძო განხილვებში, ფიქლოლოგიურ და მორალურ დატვირთვაში.

როგორ მოხდა, რომ ტურნირი ერთ წრედ ჩატარდა? პრეტენდენტთა პირველსავე ტურნირის (მალ-მით, 1988 წ.) შემდეგ დიდოსტატმა ქალეებმა ფიდე-ს წინაშე დააყენეს საკითხი დამატებით მატჩის შემოღების შესახებ პირველ და მეორე ადგილებზე გასულ მოქალაქეთათვის. მათ მიანდათ, რომ პრეტენდენტთა ორწრიანი ტურნირი არ არის საკმარისი უძლიერესი პრეტენდენტის გამოსავლინებლად. 1988 წელს წყალტუბოში თავისთავად, რომ საჭირო შეიქმნა დამატებითი ორთაბრძოლის მოწყობა (ტურნირში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს იოსელიანი და ახმელოვსკაია). და აი, შარშან პუერტო-რიკოში ფიდე-ს დამატებით დააკმაყოფილა დიდოსტატ ქალთა მოთხოვნა, შემოიღო დამატებითი მატჩი, მაგრამ რატომაც პრეტენდენტთა ტურნირში მეორე წრე გაუშქმა. საინტერესოა, როცა აღმასკომი ამ გადაწყვეტილებას ღებულობდა არ დაეკითხა აზრს ფიდე-ს ქალთა კომისიას (მას, როგორც ადრე, ამჯერადაც „დაავიწყდა“ მიეწვია სხდომაზე ამ კომისიის თავმჯდომარე ნანა ალექსანდრია) და არც იმ დროს პუერტო-რიკოში მყოფ მათა ჩიბურდანიძეს და ნონა გაფრინდაშვილს (ისინი იქ გოგონათა შორის

მსოფლიო პირველობაზე სეკუნდანტებად ახლდნენ ნორჩ ქართველ მოქალაქეებს). მეორე, როგორც ჩანს, ფიდე-ს გადაწყვეტილება არავის წაუკითხავს საკმაოდო საკადრაციო ფედერაციაში. ჩვენებმა იგი მხოლოდ წლეულს მასში იუგოსლავიაში ყოფნისას შეიტყვეს. მდგომარეობის გამოსასწორებლად ცოტა დრო რჩებოდა. ჩვენს დიდოსტატებს საზოგადოების ორ ტურნირებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. როგორც კი დასრულდა ეს ტურნირები, ნანა ალექსანდრია იყვალა ზომას მიმართა, ოღონდ გაეუქმებინა ეს უხეირო გადაწყვეტილება, მოსკოვში საგანგებოდ შეხვედა ფიდე-ს პრეზიდენტს ფლორენსიო კამპომანესს, დაუკავშირდა ცალკეულ მონაწილეებს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. უკვე დაგვიანებული იყო. ბორჯომში ტურნირის გახსნაზე ჩამოსულმა ფიდე-ს პრეზიდენტმა ბოდიში მოუხადა დიდოსტატ ქალებს, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა. მოქალაქეებს ერთ წრედ თამაშში უნდა გაერკვიათ ურთიერთობა.

რა თქმა უნდა, ბორჯომში ყველა მონაწილე ერთ პირობებში აღმოჩნდა. მაგრამ უფრო მძიმე ფაფორიტებისთვის (იოსელიანი, გაფრინდაშვილი, ახმელოვსკაია) იყო. მათგან მეტს მოელოდნენ, განსაკუთრებით ჩვენებისგან, რადგან ისინი შინ თამაშობდნენ. ცხადია, ზე-

რეალიზაციას (პარტია 110 სვლა გავრძელდა, რასაც 11 საათი დასჭირდა), მაგრამ ბოლოს ყაიძის დასჯერდა. ამასობაში ვალიამოვამ 3 ქულა დააგროვა, მაგრამ მისალოდნელი გამარჯვებულის ვინაობა მაინც დიდა რჩებოდა. ახმელოვსკაია სტარტზევე „გადიწვა“ და პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ზედინედ ოთხი ყაიძის შემდეგ იმპლავრა იოსელიანმა: ჯერ ვალიამოვას, მეორე კლიმოვას დაყარვიან ფორმაში. მაგრამ მანც იგრანობდა, რომ იგი არ იყო რჩეულ ფორმაში, მძიმედ თამაშობდა. კახიანი სტარტზე ორი წაგების შემდეგ „დაეხმარა“ თანამემამულეებს: ყაიძით დაუმთავრა შეხვედრა ვალიამოვას და სე ჯუნს დაამარცხა. გაფრინდაშვილმა კლიმოვასთან მოგო და მოულოდნელად წააგო სე ჯუნთან კარგად აწყობილი პარტია. ერთი სიტყვით, დასკვნით, VII ტურის წინ ქართველი დიდოსტატები გამარჯვების რეალურ შანსს ინარჩუნებდნენ: იოსელიანს 4 ქულა ჰქონდა, გაფრინდაშვილს, ვალიამოვას, სე ჯუნს და მარჩიას — 3,5-3,5. მათ საკუთარი ბედი თავიანთ ხელში ჰქონდათ: იოსელიანის მეტოქე ჩინელი იყო, ხოლო გაფრინდაშვილის — იუგოსლავიელი მოქალაქე. იოსელიანს ყაიძიც ყოფნიდა მიზნის მისაღწევად. თავიდან იგი ენერჯიულად მოქმე-

თქვა გულახდით სე ჯუნმა, — პრეტენდენტი ვერ გავხდებოდი. აი, ეს მოხდა ბორჯომში. პირველად, 1975 წლიდან (1983 წლის გამოკლებით) პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში (თუ ტურნირში) ვერ ვიხილავთ ქართველ დიდოსტატს. ერთმანეთს შეხვდებიან სე ჯუნი და მარჩიი.

ნონა გაფრინდაშვილის აზრით ყველაზე კარგად თამაშობდა სე ჯუნი. კულალოშპურას ტურნირის შემდეგ, ფეხ-ნახევარში საგრანობლად ამაღლდა მისი თამაშის კლასი. საკუთარ თავზე ამბობს, რომ „დამოკლეს მანკილივით“ მზულდავდა, მღელვებდა ტურნირის „სიმოკლე“, ყოველი შეხვედრის დიდი მნიშვნელობა. ალბათ, ამასვე გრანობდნენ დანარჩენი მონაწილეები, მაგრამ ახალგაზრდებმა, რომელთაგან ნაკლებ მოელოდნენ წარმატებას, შედარებით ადვილად გაუძლეს მას.

ფართო საზოგადოებრიობა თითქმის არ იცნობს ახალგაზრდა დიდოსტატებს სე ჯუნსა და ალისა მარჩიას. ვთავაზობთ მათ ნაიბობს: — დავიბადე 1970 წლის 30 სექტემბერს პეკინში, — გვიამბობს სე ჯუნი. — მამა მისამსახურეა, დედა — ინჟინერი. მათ ერთადერთი შვილი ვარ. ჰადრას 10 წლისა გავეცანი, თავიდან ჩინურ ჰადრას ვთამაშობდი, რომელიც უფრო რთული მგონია. ზუთიოდე

ჩვენი ოჯახში ყველა მოქალაქეა. — მოგვითხრობს ალისა მარჩიი. — მამაჩემი, რომელიც ბორჯომში მახლავს, ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, პირველთაირიგოსანია. სწორედ მან გავსწავლა თამაში მე და ჩემს ტყუპ და მირიანს. ჩვენი 1970 წლის 10 იანვარს დავიბადეთ. ოთხი წლისა უკვე ჰადრას ვთამაშობდი. 10 წლიდან ტურნირებში გამოაწილედი. ჩემი და მირიანა ცნობილი მოქალაქეა, საერთაშორისო ოსტატი. მონაწილეობდა ქალთა მსოფლიო თამაშებშიც იუგოსლავიის ქალთა გუნდის შემადგენლობაში. ბოლოს ქალთაგონთა კისამ მე უფრო გამიღობა. საერთაშორისო დიდოსტატი გახდი და პრეტენდენტთა ტურნირში თამაშის უფლება მოგიპოვებია. ახლა ჰადრას ჩემი პარტნიორია, თუმცა ვსწავლობ ბელგრადის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მეცამე კურსზე. ბორჯომი ჩემთვის ბედნიერი ადგილი აღმოჩნდა. მოულოდნელი რამ შევიძლო. ვიცო, ძნელე მატჩი შეიქმნა. სე ჯუნი ძლიერ მოქალაქეა. მაგრამ მოვემზადებო. ვას არ უნდა შეხვედრის მათა ჩიბურდანიძეს. არ დავამალავ, მეც ამაზე ვიცნებო!

**თინათინ ზვირიძე,**  
საერთაშორისო არხიტრი.  
ბორჯომი-თბილისი.

**მეხმარები** რომ ჩავედი, დაახლოებით დღის სამი საათი იყო, მზე ლიცილიცებდა დახუნდული ხეების ტოტებში და მთელს სოფელში აქა-იქ თუ შეხედობოდი ვინმეს, არც შევერის საშუალო სკოლის ეზოში იდგა ყრამული, სინამდვილეში ახლადშერეობრტებულ მწვანედშეღებულ კედლებში... ის იყო შენობიდან გამოსვლა დავაპირე, რომ ნაბიჯების ხმა შემომესმა: ბედმა გამიღობა და სკოლის დირექტორი გურამ აბრამიძე ამოვიდა კიბეებზე.

ჩვენი სტუმრობა უცხო არ იყო ბატონი გურამისათვის. გორის რაიონის სოფელ ძევერის საშუალო სკოლის სასწავლო მეურნეობაზე იმდენი დიფერა და ითქვა, რომ ჟურნალისტის სტუმრობა აქ არავის აკვირვებს. აქვე გეტყვით, რომ შარშან სასწავლო მეურნეობის საკავშირო კომპაგნიის პრეზიდენტად ვიყავი, ალბათი თანხა მერამ კონკრეტულ სახელობის ფონდში გადაიტანეს მოსწავლეებმა.

— რის პრეზია, ყველაფერი სიყალბე იყო, ისიც კი იკადრეს, ტელევიზიით სასწავლო მეურნეობის საბავშვო ბაღის ნაცვლად მეურნეობისა აჩვენეს, — ჩამესმის ახლა ძევერის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის არჩილ ჯავახიშვილის სიტყვები და უსიამოვნო განცდა მეუფლება... თუ რა შუაშია ძევერის საშუალო სკოლასთან მეურნეობის დირექტორი, მოგვიანებით მოგახსენებთ, ახლა კი აღვნიშნავ, რომ ახლადშეღებელი მწვანე კედლები რომ ვახსენე, და სა-

ერთოდ სკოლის რემონტი, მეურნეობამ გააკეთა.

მოსწავლეები მეორე კვირა ბაღში არიან, მოსავალს კარგი პირი უჩანს, 100 ტონამდე ვაშლის მოკრეფას ვფიქრობთ — მთხრამ ბატონმა გურამმა. — მეექვსე წელია, რაც ჩვენი სასწავლო მეურნეობა არსებობს და მხოლოდ წელს გვაქვს ასეთი მოსავალი. არა ადვილი 25 ჰექტარი ბაღის მოვლა, მაგრამ

მოსწავლეები, სკოლის მთელი კოლექტივი ისეა მონდომებული, საქმეს კარგად ვართმევთ თავს. საფერ-მერო სკოლის შექმნა მაქვს გადაწყვეტილი, ასეთი ტიპის სკოლები საქართველოში რამდენიმეა, იგი მრავალმხრივია სასურველი ჩვენითვის, ჯერ ერთი, მოსწავლეებს სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესია ექნებათ და სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასაც გავაუმჯობესებთ, ბაღის ტერიტორიაზე კაბინეტ-ლაბორატორიები გვაქვს მოწყობილი... თუმცა, აქ საუბარს ადვილზე მისვლა და ნახვა სჯობს, — შემომთავაზა ბატონმა გურამმა.

დახუნდულ ბაღს, ფაქიზად მოვლილ კაბინეტ-ლაბორატორიებს, ირგვლივ ყველაფერს მზრუნველი ხელი ამჩნევია. აგრონომი ვენერა ბონიშვილი უკვე ბრუნდებოდა ბაღიდან: მოსწავლეები მონდომებით

შრომობენ, ხელფასებსაც კარგად გამოფუჭებენ-მითხრობს.

ერთი სიტყვით, ამ შემოდგომის სიუჟეტში ჯერჯერობით მიქმედება ჩვეულებრივად ვითარდება და სიტუაციას იდილოზრეც კი შეიძლება დავარქვათ, მაგრამ ყველაფერი თვალის დახამხამებაში შეიცვლება, ხილის ასაწონ პუნქტში ძევერის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს არჩილ ჯავახიშვილს შეხვდებით.

გახიშვილს რომ შეხვდებით. იგი ერთი წელი არცაა, რაც ძევერისა და ბერიულეს გაერთიანებულ მეურნეობას ჩაუდგა სათავეში, იქამდე ავი სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. ბევერის მხანგელი კაცია ბატონი არჩილი, 40 წელია სოფლის მეურნეობაში მუშაობს პასუხისმგებელ თანამდებობებზე, მისთვის სრულიად მიუღებელი და გასაოცარია, რად უნდა, რატომაც აცხადებს პრეტენზიას ამ ბაღზე სკოლას.

— ამ ბაღსაც თავად იჩემებენ და მინი-მეურნეობადაც თავად ხათლავენ, არავითარი დოკუმენტი იმისა, რომ ეს მიწა მეურნეობამ სკოლას გადასცა არ არსებობს. როგორც ჩანს, მეურნეობის ყოფილი დირექტორი და სკოლის ხელმძღვანელობა სიტყვიერი მოლაპარაკებით დაკმაყოფილდნენ, გადაწყვი-

ტეს თავი გამოეჩინათ ქვეყანაზე, სხვებს რატომ უნდა ჩამოეჩინათ და გააკეთეს ე. წ. მინი-მეურნეობა. მიაღწიეს კიდევ თავისას, პრესა, რადიო, ტელევიზია ალაპარაკეს, საკავშირო კომპაგნიის პრეზია დაიშინებინეს და მოპულარულებიც გახდნენ. ხომ უნდა მოელოს ბოლო ამ სიყალბეს, ახლა სკოლის დირექტორის დაუჩქებლობა: ბაღი იჯარით მოგვეცით და მისგან მიღებული შე-

დირექტორს — შეგონების ავიღებთ თქვენზე, იმ კაბინეტ-ლაბორატორიებს სკოლის ტერიტორიაზე ვაღმთავრებთ, მატერიალურად დაგვხმარებთ, დაანებებთ ამ ბაღს თავი-მეთქი, თუ მინი-მეურნეობის საფუძველი სკოლა და ბაღის მოვლა უნდა, სკოლის გვერდშეგვე აქვთ 4 ჰექტარი მსხმოიარე ბაღი. იყონ იქ? ბაღს მიაქვს იჭაურება, თუ ასეთი ვაქცალები არიან, ექ აქეთონ საქმე, მეურნეობის ბაღს კი შეეშვან, ალბათი მოსავალი, რა თქმა უნდა, მეურნეობას დარჩება. მეურნეობის საერთო კრებაზეც, რომელიც ამ საკითხზე მოვიწვიეთ, ასე გადაწყვიდა, გამომუშავების ნორმები კი შევამცირეთ და ბავშვები კარგ ზეღვასებს მიიღებენ — ასეთია მეურნეობის დირექტორის აზრი.

მე ვესაუბრე ძევერის სკოლის უფროსკლასელებს: ირმა ლალიაშვილი, ნატო ბენბრაძეს, ინგა და მაცა კოლიაშვილებს, სხვებსაც... მათ ძალიან უნდათ სკოლა საფერმერო გახდეს, უნდათ, რომ ბაღი, რომელსაც თავიანთი ზრუნვა და ენერჯია ჩააქსოვეს, სკოლის კეთილდღეობის საფუძველი გახდეს. კომენტარებისგან თავს შევიკავებ. ვფიქრობ, რომ პრობლემის გადაჭრაში სახალხო განათლების სამინისტრომ უნდა თქვას გადაწყვეტი სიტყვა, იქნებ შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც ასწორდ-დასწორებს, კარგად გაიხარებს სიტუაციას და დასკვნებს სკოლის ბავშვების სამომავლო ინტერესების გათვალისწინებით გამოტანას.

**მარიამ ზვირიძე**

# ორი პოზიცია

